

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Комитета по Физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 86 (1256) ○ კვირა, 20 ივლისი, 1958 წ. ○ გამოცემის მე-14 წელი. ○ ფასი 30 კაპ.

# ჩვენი სამშობლო აღნიშნავს მეტალურგის დღეს

დღეს მთელი საბჭოთა ხალხი აღნიშნავს ორ მეტად მნიშვნელოვან თარიღს — სსრ კავშირის საჰაერო ფლოტისა და მეტალურგის საკავშირო დღეს.

დიდი და ამასთან მეტად საინტერესო ისტორია აქვს სამამულო ავიაციას. 76 წლის წინათ პირველად მსოფლიოში ჰაერში აიჭრა რუსი გამომგონებლის ალექსანდრე მოჟაისკის მიერ შექმნილი თვითმფრინავი. მაგრამ ჩვენი ავიაციის განვითარების ახალი ერა დაიწყო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ — სახელოვანი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დიდი ზრუნვის შედეგად გაიზარდა და გაძლიერდა საბჭოთა ავიაცია, რომელიც შემდეგ მთელს მსოფლიოში სახელმოხვეჭილი გახდა.

ომისშემდგომ წლებში კიდევ უფრო განვითარდა საბჭოთა ქვეყნის მძიმე მრეწველობა, რამაც ხელი შეუწყო ჩვენი მშობლიური არმიის, საზღვაო და საჰაერო ფლოტის აღჭურვას პირველხარისხოვანი ტექნიკით. ჩვენი სამამულო საჰაერო ხომალდები ფხიზლად დარაჯობენ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვარს, ხოლო სახელოვანი ავიაგამომგონებლები და ავიაციის სხვა დარგის ადამიანები ენერგიულად შრომობენ ახალი ტიპის საჰაერო ხომალდების შექმნაზე, რომ კვლავ ასახელონ ჩვენი სამშობლო და საბჭოთა ხალხი ახალ-ახალი ტიპის თვითმფრინავების გამოშვებით.

ჩვენი სახელმწიფო იბრძვის მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმის მოწესრიგებისათვის, თანმიმდევრულად ახორციელებს მშვიდობისმოყვარე საგარეო პოლიტიკას, იღვწის სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობის განმტკიცებისათვის. მაგრამ ბურჟუაზიული ქვეყნების რეაქციული ძალები ხელს არ იღებენ აგრესიულ ზრახვებზე. ამის დადასტურებაა ამერიკელ და ინგლისელ აგრესორთა ინტერვენცია ლიბანსა და იორდანიაში. მაგრამ მათი გეგმები განწირულია. ხელები შორს არაბთა ქვეყნებისაგან! — ხმას იმაღლებს მსოფლიოს პროგრესული კაცობრიობა.

საბჭოთა ადამიანები მხურვალედ მიესალმებიან სამხედრო-საჰაერო ფლოტის, საავიაციო მრეწველობის მუშაკებს, რომლებიც თავიანთ ენერგიასა და ძალას არ ზოგავენ დიადი საბჭოთა სამშობლოს წმიდა საზღვრების დასაცავად.

* * *

დღეს ჩვენი ქვეყნის მეტალურგთა მრავალათასიანი არმია აღნიშნავს თავის დღესასწაულს — მეტალურგის საკავშირო დღეს, რომელიც წელს პირველად ტარდება.

ისტორიული გამარჯვებები მოიპოვა საბჭოთა სახელმწიფომ ქვეყნის მძიმე მრეწველობის განვითარების საქმეში, სადაც განსაკუთრებული როლი ეკუთვნის მეტალურგიას. ჩვენი სამშობლოს უდიდეს მეტალურგიულ ქარხნებში ათასობით მშრომელი თავის ძალასა და ენერგიას არ ზოგავს, რათა გამოუშვას მეტი პროდუქცია, ხელი შეუწყოს ჩვენი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებას.

ჩვენი რესპუბლიკა ამაყობს მეტალურგიის ისეთი შესანიშნავი ობიექტებით, როგორებიცაა ი. ბ. სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული კომბინატი და ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა.

საქართველოს სპორტსმენები, ფიზკულტურელები მხურვალედ მიესალმებიან რესპუბლიკის მეტალურგებს, ავიაციის მუშაკებს ულოცავენ მათ სახელოვან დღესასწაულს, უსურვებენ გმირულ შრომასთან ერთად მნიშვნელოვან გამარჯვებათა მოპოვებას ფიზკულტურასა და სპორტში.



## ლ. იევლევა — 5,96 მ

ბათუმში ჩატარდა „სპარტაკის" რესპუბლიკური საბჭოს მძლეოსანთა შეჯიბრება.

ცალკეული შედეგებიდან აღსანიშნავია ვაჟთა შორის ე. ლომთაძის შედეგი 100 მეტრზე რბენაში — 10,8, ა. ოგანეზოვმა (ბორჯომი) და ი. კულუხოვმა (თბილისი) — სიმაღლეზე ხტომაში დაძლიეს 180 სმ. ხოლო გ. ჩადუნელმა ბადრო ტყორცნა — 45,18 მეტრზე. ე. ლომთაძემ მეორე გამარჯვება მოიპოვა 200 მეტრზე რბენაში — 22,8. ქალთა შორის ლ. იევლევამ 100 მეტრი გაირბინა 12,4 წამში.

ბრწყინვალე წარმატებას მიაღწია სიგრძეზე ხტომაში ლ. იევლევამ. იგი გადახტა 5,96 მეტრზე, რითაც განაახლა საკავშირო რეკორდი 17-18 წლის გოგონებისათვის, რომელიც წლების მანძილზე ეკუთვნოდა ნ. ხნიკინას (5,90). ვაჟთა შორის სიგრძეზე ხტომაში პირველი იყო რ. ქვაჩახიძე — 7,18 მეტრი, მეორე კი — ვ. ჩხეიძე, რომელმაც პირველად გადალახა 7-მეტრიანი ზღვარი (მესამე საქართველოში) — 7,02 მ.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს თბილისის მძლეოსნებმა. მეორე ჯგუფში საუკეთესო იყო ბორჯომის გუნდი.

ლ. გიორგაძე





# პროფკავშირების II სპარტაკიადა

18 ივლისს წითელი ალმებითა და ტრანსპარანტებით მორთულ თბილისის „დინამოს" სტადიონზე მრავალრიცხოვანი მაყურებელი შეიკრიბა. აქ შედგა პროფკავშირების II რესპუბლიკური სპარტაკიადის საზეიმო გახსნა. მარშის ხმაზე სტადიონის მწვანე მინდორზე გამოდიან ამ საინტერესო ღონისძიების მონაწილენი. კოლონებს წინ მიუძღვიან ფიზკულტურელები, რომლებსაც მოაქვთ თავიანთი სპორტსაზოგადოებათა ალმები. მწყობრი ნაბიჯით მოდიან თბილისის, ქუთაისის, აფხაზეთის, აჭარის, ფოთის, რუსთავისა და საქართველოს სხვა რაიონების წარმომადგენლები — მძლეოსნები, ველოსიპედისტები, ძალოსნები, მოცურავეები...

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის სახელით სპარტაკიადის მონაწილე სპორტსმენებს მიესალმა საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი ი. ხეთაგური, რომელმაც სპორტსმენებს მიულოცა ამ მნიშვნელოვანი სპორტული ასპარეზობის დაწყება.

სპარტაკიადის ალამი აღმართეს მონაწილე კოლექტივების წარმომადგენლებმა, რის შემდეგ დაიწყო შეჯიბრებები მძლეოსნობაში. ვაქვეყნებთ შეჯიბრებათა პირველ შედეგებს.

## ფრენბურთი

„განთიადის" მოედნებზე დაიწყო ფრენბურთელთა შეხვედრები.

პირველ დღეს ვაჟთა გუნდებს შორის გამარჯვებები მოიპოვეს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტმა წინდების ფაბრიკის გუნდთან და აჭარის გუნდმა — რუსთავთან.

მეორე ჯგუფის გუნდებში ყველაზე დაძაბული აღმოჩნდა სამტრედიისა და ტყიბულის ვაჟთა გუნდების შეხვედრა, რომელიც ორსაათნახევარს გრძელდებოდა და დამთავრდა ტყიბულელთა გამარჯვებით — 3:2.

დანარჩენი შეხვედრებიდან თელავის ვაჟთა გუნდმა მოუგო მახარაძის გუნდს, ხოლო გორმა — ზუგდიდის ქალთა გუნდს.

## კალათბურთი

კალათბურთელთა შეჯიბრებაში პირველ ჯგუფში გამოდის ქალთა და ვაჟთა 10, ხოლო მეორე ჯგუფში — 12 გუნდი. პირველი ჯგუფის შეხვედრებიდან დაძაბულად მიმდინარეობდა აფხაზეთისა და ქუთაისის, აგრეთვე „განთიადისა" (თბილისი) და აჭარის ქალთა გუნდების მატჩები. მცირე უპირატესობით გაიმარჯვეს აფხაზეთისა და თბილისის სპორტსმენებმა. ვაჟთა შორის ქუთაისმა მოუგო რუსთავს —68:59, თბილისის „განთიადმა" — აფხაზეთს — 55:44.

მეორე ჯგუფში ვაჟთა შორის ახალციხისა და სამტრედიის გუნდებმა გამარჯვებები მოიპოვეს ტყიბულთან და თელავთან.

## მძლეოსნობა

მძლეოსანთა მიერ ნაჩვენები შედეგებიდან პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ი. გიგაურის შესანიშნავი მიღწევა. მან შუბი ტყორცნა 66 მეტრსა და 28 სანტიმეტრზე, რაც საქართველოს ახალი რეკორდია.

პირველი თანრიგის შედეგებით აღინიშნა ვაჟთა შეჯიბრება სიმაღლეზე ხტომაში. 185 სანტიმეტრი გადალახა ორმა სპორტსმენმა — გ. გორბაჩოვმა და გ. ვიბლიანმა. პირველობა მიეკუთვნა გორბაჩოვს, ვინაიდან მან ეს სიმაღლე პირველივე ცდაზე გადალახა.

ბადროს ტყორცნაში ქალთა შორის პირველი ადგილი დაიკავა თბილისელმა ნ. შატალოვამ — 39 მეტრი, 03 სანტიმეტრი.

მეტად დაბალ დონეზე ჩატარდა ქალთა რბენა 800 მეტრზე. გამარჯვებულის მ. ლუბოჩეკის (გორი) შედეგი — 2.44,0 მესამე თანრიგსაც ვერ აღწევს.

დანარჩენ სახეობებში ტექნიკური შედეგები ასეთია: ვაჟები — 100 მეტრზე რბენა — ა. ბედუკაძე (თბილისი) — 11,2; ბირთვის კვრა — გ. შავთვალაძე (თბილისი) — 13,67; თარჯრბენი 110 მეტრზე — ვ. ცხვედიანი (თბილისი) — 16,3.

* * *

სურათზე: მონაწილეთა პარადი (მარცხნივ). საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი ი. ხეთაგური მიესალმება პარადის მონაწილეებს.

## ი. გიგაურმა დაამყარა შუბის ტყორცნაში ახალი რესპუბლიკური რეკორდი — 66 მ. 28 სმ.

# ხელები შორს არაბთა ქვეყნებისაგან!

**ოთარ ქორქია,**
**სპორტის დამსახურებული ოსტატი.**

ამერიკელ იმპერიალისტთა შეიარაღებულ ინტერვენციას ლიბანში აღშფოთებით შეხვდნენ საბჭოთა ადამიანები, რომლებიც სასტიკ პროტესტს გამოთქვამენ ამ დანაშაულებრივი მოქმედების გამო. ხალხმრავალ მიტინგზე გამოსული ორატორები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ლიბანის საშინაო საქმეებში აგრესორების ჩარევა არა მარტო საბჭოთა ხალხის, არამედ მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ადამიანების გულისწყრომას იწვევს.

ჩვენი სამშობლოს ადამიანები დიდი კმაყოფილების გრძნობით შეხვდნენ საბჭოთა მთავრობის განცხადებას, სადაც ნათლადაა მოცემული აგრესორთა ინტერვენციის სინამდვილე. ამერიკელი იმპერიალისტები უხეშად არღვევენ საერთაშორისო სამართლის ყოველგვარ ნორმებს.

რესპუბლიკის სხვა ადამიანებთან ერთად, ჩვენ, სპორტსმენებიც სასტიკ გულისწყრომას გამოვთქვამთ. ვუერთდებით რა მთელს საბჭოთა ხალხის ხმას, ვამბობთ: **ხელები შორს ლიბანისაგან!**

---

**რაფაელ ჩიმიშკიანი,**
**სპორტის დამსახურებული ოსტატი**

არ შეიძლება გულდამშვიდებით შეხვდე ამერიკელ აგრესორთა ამ ავაზაკურ მოქმედებას. მე, როგორც საბჭოთა დელეგაციის წევრი, გამოვდიოდი ლიბანის ქალაქებში და ყოველთვის გარემოსილი ვიყავი ამ ქვეყნის ხალხის კეთილმეგობრული გრძნობით, ნათლად ვხედავდი, თუ რა გულით სურდა მათ მშვიდობის საქმის გამარჯვება.

მაგრამ აი, ლიბანის ტერიტორიაზე შეიჭრნენ ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალები, დაარღვიეს ამ ქვეყნის ხალხთა მშვიდობიანი ცხოვრება. ამიტომ სპორტსმენები ვაცხადებთ: **დაუყოვნებლივ შეწყდეს ამერიკელ კოლონიზატორთა შეიარაღებული ჩარევა ლიბანის საშინაო საქმეებში!**

---

**დავით ციმაკურიძე,**
**სპორტის დამსახურებული ოსტატი**

მხოლოდ უსაზღვრო აღშფოთება შეიძლება გამოიწვიოს ამერიკელი იმპერიალისტების დანაშაულებრივმა მოქმედებამ არაბეთის ხალხების მიმართ. ჩვენ, რესპუბლიკის სპორტსმენები, მხურვალედ ვიწონებთ საბჭოთა მთავრობის განცხადებას ამერიკელთა მოქმედების გამო, სადაც ნათქვამია, რომ „საბჭოთა კავშირი გულგრილი ვერ დარჩება ამბებისადმი, რომლებიც სერიოზულ საფრთხეს ქმნიან რაიონში, რომელიც მდებარეობს მის საზღვრებთან, და უფლებას იტოვებს მიიღოს საჭირო ღონისძიებანი, რომლებსაც მშვიდობისა და უშიშროების დაცვის ინტერესები უკარნახებენ".

თავიანთი უღირსი საქციელით ნიღაბი ჩამოიხადეს ამერიკელმა კოლონიზატორებმა, ნათლად გამოჩნდა მათი აგრესიული ზრახვების სინამდვილე. ხმას ვუერთებთ ჩვენი ხალხის გულისწყრომას და ვამბობთ: **შეწყდეს შეიარაღებული ჩარევა არაბთა ქვეყნების საშინაო საქმეებში.**

---

# სტუდენტთა ჩემპიონატი

უკვე მეორე ტურის შემდეგ ჩემპიონატის ლიდერები საბჭოთა მოჭადრაკეები იყვნენ, ამიტომ მესამე ტურში საერთო ყურადღებას იპყრობდა მათი შეხვედრა იუგოსლავიის გუნდთან. ეს მატჩი, როგორც ცნობილია, მოიგეს საბჭოთა მოჭადრაკეებმა — 3:1. საინტერესო ბრძოლა გაიმართა ცალკეულ დაფებზე. ტალმა სიცილიურ დაცვაში ჯურაშევიჩის წინააღმდეგ გამოიყენა რაუზერის სისტემა. მან მიაღწია უპირატესობას, შემდეგ გაცვალა ყველა ფიგურა და პარტია პაიკების დაბოლოებაში გადაიყვანა, სადაც ოსტატური თამაშით გაიმარჯვა კიდეც. სპასკიმ ბერტოკს მოუგო პაიკი, მაგრამ შეუპოვარ წინააღმდეგობას წააწყდა და იძულებული იყო ყაიმით დაკმაყოფილებულიყო. გიპსლისმა და ბოგდანოვიჩმა შეხვედრა ყაიმით დაამთავრეს. ნიკიტინმა დაამარცხა ჩირიჩი.

გადადებული პარტიების დამთავრების დღეს კოლაროვმა მტკიცე დაცვით ყაიმს მიაღწია სპასკისთან, ხოლო გურგენიძე დანებდა პადევსკის. ამით გამოირკვა საბჭოთა კავშირისა და ბულგარეთის გუნდების შეხვედრის ანგარიში — 2,5:1,5 საბჭოთა სტუდენტების სასარგებლოდ.

მეოთხე ტურში საერთო ინტერესი გამოიწვია საბჭოთა კავშირისა და არგენტინის გუნდების შეხვედრამ. გროსმაისტერმა ტალმა და პანომ პარტია ყაიმით დაამთავრეს. სამაგიეროდ დანარჩენი სამი პარტია საბჭოთა მოჭადრაკეებმა მოიგეს: სპასკიმ დაამარცხა სანგინეტი, გურგენიძემ, რომელმაც კარგად [illegible] მდგომარეობას, [illegible] რად შეწირა პაიკი — [illegible] და გიპსლისმა — ემი.

მეხუთე ტურში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდთან შეხვედრაში საბჭოთა მოჭადრაკეებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 2,5:1,5. მეექვსე ტურში მათ ოთხივე დაფაზე შეხვედრები ყაიმით დაამთავრეს ჩეხოსლოვაკიის გუნდთან.

ამრიგად, დასკვნითი, VII ტურის წინ საბჭოთა კავშირის გუნდს აქვს 17 ქულა, მეორე ადგილზე არიან ბულგარელები — 12,5 ქულა და 2 გადადებული პარტია.

---

# „სპარტაკის" პირველობაზე

დამთავრდა „სპარტაკის" რესპუბლიკური პირველობა კრივში, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს თბილისის, სოხუმის, ბათუმის, ქუთაისის, სტალინირისა და მახარაძის მოკრივეებმა. სასიხარულოა აღინიშნოს ახალგაზრდა მოკრივეთა ზრდა, რომელთა მიერ ნაჩვენები იქნა მთელი რიგი შინაარსიანი, დაძაბული ბრძოლები.

წონითი კატეგორიების მიხედვით პირველ ადგილებზე გამოვიდნენ: შეპეტკოვი (თბილისი), ხუდოიანი (ბათუმი), ნასოევი (თბილისი), გაიდამაკი (ბათუმი), კოზაევი (თბილისი), კვაჭანტირაძე (ბათუმი), მუხაძე, სილაგაძე (ორივე თბილისი), ცარიტოვი (სტალინირი), ახრახაძე (ქუთაისი). გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს თბილისელებმა, მომდევნო ადგილებზე არიან სოხუმელი და ქუთაისელი მოკრივეები.

ამჟამად „სპარტაკის" მოკრივეთა რესპუბლიკური ნაკრები გუნდი ემზადება საკავშირო შეჯიბრებისათვის, რომელიც ჩატარდება მინსკში.

**ა. გოლდშტეინი,**
სპორტის დამსახურებული ოსტატი, შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

---



# ნაყოფიერი შრომის შემდეგ

ოფლით სახედაცვარული მეფოლადეები ჯარასავით ტრიალებენ, წუთითაც არ აშორებენ თვალს მოგუგუნე აგრეგატებს, სტვენითა და ხელების მოძრაობით „ესაუბრებიან" თანაშემწეებს.

ერთ-ერთ ღუმელს მიუახლოვდა საშუალო ტანის, ლურჯხალათიანი გოგონა, თამამად აუარა გვერდი სარკმლიდან გადმოღვრილ წიდას და ლურჯი სათვალით გახედა საქვრეტს.

— დნობა ნორმალურად მიმდინარეობს. ფოლადიც საჭირო მარკისაა, შეგიძლია გაუშვა, — ძლივს გააგონა ქალიშვილმა მხარბეჭიან ახალგაზრდა მეფოლადეს ი. ტაბატაძეს და მეორე ღუმელისაკენ გასწია.

ცვლის დამთავრებამდე ეთერი ზარეკიძემ ერთხელ კიდევ შეათვალიერა რა ღუმელები, სწრაფად გადაიცვა და სახელოსნოსაკენ გაეშურა.

ხელსაწყოების ზეინკალი ნინა კოჟანსკაიაც გადაცმული შეეგება მას.

— ჩქარა, ეთერ, დღეს ხომ იცი, 5 საათზეა დანიშნული ვარჯიში. სახლში გავლასაც ვერ მოვასწრებთ,—მიაძახა მან მეგობარს და მკლავი მკლავში გაუყარა.

...ნაირსიმაღლის ორძელთან შავვგრემანი გოგონა მივიდა, სხარტი მოძრაობით ზედ მოექცა და მსუბუქად შეასრულა ვარჯიში.

— კიდევ ერთხელ გაიმეორე, — ხელმეორედ მიაბრუნა მწვრთნელმა ს. კრასიკოვმა ეთერი ორძელისაკენ. — თქვენ კი კარგად დაუკვირდით, თქვენც მოგიწევთ ამ ვარჯიშის გამეორება.—მიმართა მან გოგონებს, რომლებიც თავიანთი რიგის მოლოდინში გრძელ სკამზე ჩამომსხდარიყვნენ და მზერა მოვარჯიშესაკენ მიეპყროთ.

ეთერიმ კვლავ კარგად შეასრულა ვარჯიში და მსუბუქი ნახტომით დაეშვა ლეიბზე.

სპორტული ტანვარჯიშისადმი სიყვარული ეთერ ზარეკიძეს თბილისის მეტალურგიულ ტექნიკუმში სწავლისას დაებადა. აქ იგი სექციაში ჩაეწერა. ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ ზარეკიძემ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროში დაიწყო მუშაობა ტექნიკურ კონტროლიორად. მეტალურგი ქალიშვილი პირველი დღეებიდანვე შეუდგა წვრთნას ქარხნის სპორტულ სექციაში.

ახლა პირველთანრიგოსანი ტანმოვარჯიშეა ე. ზარეკიძე, რომელიც ერთ-ერთი უძლიერესია რუსთავში. იგი წარმატებით გამოდის როგორც საქალაქო, ისე რესპუბლიკურ შეჯიბრებებზე.

სამუშაო საათების დამთავრების შემდეგ ეთერ ზარეკიძეს ხშირად ნახავთ სპორტული ჩემოდნით ხელში. იგი მეტალურგთა კულტურის სასახლეში მიეშურება სავარჯიშოდ. შრომა და სპორტი სამუდამოდ დამკვიდრდა მეტალურგი ქალიშვილის ყოველდღიურ ცხოვრებაში.

**რ. მორჩილაძე**

• • •

სურათზე: ე. ზარეკიძე მორიგი წვრთნის დროს.

---

# მათი მისწრაფებანი

— შეუძლებელია, რომ ქალი მფრინავი გახდეს. აი მე კი მფრინავი ვიქნები და ჩემი თვითმფრინავით გაგასეირნებ ხოლმე ხანდახან.—ეუბნებოდა ქსენია გოგიავას მისი ძმა ნიკოლოზი, როცა ავიაციით გატაცებულ და-ძმას შორის გაცხოველებული კამათი ჩამოვარდებოდა.

— ნუთუ მართლა არ შეიძლება ქალმა მართოს თვითმფრინავი? ასეთი კითხვით არაერთხელ მიუმართავს თავისათვის მას. თუ კი რ. ჟორდანია, პირველი ქართველი მფრინავი ქალი, დაეუფლა რთულ მანქანას და დაფრინავს კიდეც, რატომ არ შეუძლია ყველაფერი ეს სხვასაც.

ეს იყო 1935 წელს. მფრინაობის სურვილმა ქ. გოგიავა თბილისის აეროკლუბში მიიყვანა.

დაიწყო საფრენოსნო საქმის სწავლების დღეები. ბევრი დრო მიჰქონდა თეორიისა და მოტორის შესწავლას. მხოლოდ 1936 წლის გაზაფხულზე გოგიავა პირველად აფრინდა ჰაერში.

— ვერ აგიწერთ კმაყოფილების იმ გრძნობას, როცა თვითმფრინავი შენს ნება-სურვილს ემორჩილება,— გვითხრა ქ. გოგიავამ. — რა ბედნიერი ვიყავი იმ წუთებში. სულ 90 დამოუკიდებელი ფრენა ჩამიტარებია.

გავიდა წლები და ქ. გოგიავა გაიტაცა ჭადრაკმა, რომელიც მფრინავებისაგან ისწავლა აეროდრომზე. ჭადრაკმა ისე დააინტერესა ნიჭიერი ქალიშვილი, რომ მან ამ თამაშს ყველაფერი ანაცვალა. 1940 წელს საქართველოს ჩემპიონობაც მოიპოვა.

• • •

ისმის ჟრიამული, შეძახილები. პარაშუტისტის ტანსაცმელში გამოწყობილი გოგონები ზეცას გასცქერიან...

— აგერ! მზია ლოლიშვილი დაეშვა. პარაშუტი ერთხანს ბრწყინავდა მზის სხივებზე. იგი ნელნელა ეშვებოდა მინდორზე. როდესაც პარაშუტის თეთრი თალფაქი მიწას შეეხო, ამხანაგები კლარა ქაჩიბაია, ირინა სალარიძე, რაიმონდა მამალაძე და სხვები შემოეხვივნენ მას. მზია კი იღიმებოდა. იგი ნამდვილად ბედნიერი იყო. აუსრულდა ნატვრა...

მაგრამ ამ წუთებამდე მზიამ და მისმა მეგობრებმა თითქმის ერთი წელი „იარეს". მათაც როგორც ქ. გოგიავამ საავიაციო ნათლობა აეროკლუბში მიიღეს. კლუბს კვლავ გ. გაბრიჩიძე ხელმძღვანელობდა. გოგონებს წვრთნიდა საპარაშუტო სპორტის ენთუზიასტი ვ. ბაქრაძე.

...აი ჰაერის ხომალდი ცაშია. ქვევიდან აჩვენეს, რომ დაშვება შეიძლებოდა. გაიღო კარი და გოგონები ზედიზედ გადმოეშვნენ უძირო სივრცეში მათ არ ემჩნეოდათ რაიმე შიში, ან მერყეობა. ჰაერში ბათქით იშლება პარაშუტები. გოგონებმა წარმატებით აბარებდნენ ძნელ გამოცდას.

— გმირები ხართ, ნამდვილი გმირები! — ეუბნება მათ ვ. ბაქრაძე და მერე იწყებს ყოველი ნახტომის დეტალურ გარჩევას.

მეგობრებს საპარაშუტო სპორტის გარდა სხვა სახეობებიც იტაცებთ. ისინი მზიას გულშემატკივრები არიან, როცა იგი საქართველოს პირველობაში იბრძვის უძლიერესთა შორის ჭადრაკში. რ. მამალაძეს უყვარს ცურვა, ხოლო კ. ქაჩიბაიას და ს. ჩერნა-ივანოვას — ფრენბურთი.

— ახლა ჩემი მიზანია, — გვითხრა მზია ლოლიშვილმა, — თანრიგოსანი გავხდე. კ. ქაჩიბაიამ და ს. ჩერნა-ივანოვამ უკვე შეასრულეს მესამე თანრიგი. შემდეგ ისე, როგორც ჩემს მეგობრებს, მინდა მონაწილეობა მივიღო თბილისის პირველ პირველობაში საპარაშუტო სპორტში.

ეს კარგი სურვილია და ეჭვი არაა გაბედული სპორტსმენები აისრულებენ წადილს.

**თ. ნინოშვილი**





ზედა სურათზე, რომელიც გადაღებულია 22 წლის წინათ, თქვენ ხედავთ ქ. გოგიავას თავის თვითმფრინავთან ერთ-ერთი წარმატებითი გაფრენის შემდეგ. მეორე სურათზე გადაღებულია მ. ლოლიშვილი მორიგი დაშვების შემდეგ.

ლელო



აემაიდან
ტჯამაჭიდან

გუშინ, 19 ივლისს, ერთმეტრიანი ტრამპლინიდან ხტომებით ჭაბუკთა შორის დაიწყო ჩვენი ქვეყნის პირველობა წყალში ხტომებში, რომელშიც ყველა რესპუბლიკის 300-მდე სპორტსმენი მონაწილეობს.

პირველსავე გამოსვლებიდან გაგვახარეს ლიტველმა ჭაბუკმა წყალში მხტომელებმა, შესანიშნავი მწვრთნელის ზიგმუნდ ნავიუკასის აღზრდილებმა, რომელთა ხტომის სტილი პირველივე შეხედვით გამოირჩევა სილამაზით, ესთეტურობით და სიმკვეთრით. გასაკვირიც არაა, რომ ჭაბუკთა შორის გამარჯვებულები სწორედ მისი მოწაფეები — ზონკუს პოველსკი (55,10 ქულა) და ავინსენის ოიზისი (54,25) აღმოჩნდნენ.

ჭაბუკებს შემდეგ 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომებით ბრძოლაში ჩაებნენ ვაჟები. დებულების მიხედვით ისინი ასრულებდნენ 3 სავალდებულო და ერთ ნებისმიერ ხტომას. სამწუხაროდ, სპორტის ბევრი ოსტატი ზედმეტად „გართულა" რთული ხტომების დამუშავებით ისე, რომ მზადების დროს ნაკლები ყურადღება დაუთმია თუმცა უბრალო, მაგრამ ძირითადი ხტომებისათვის. ამიტომ იყო, რომ ისეთმა ცნობილმა ოსტატებმა, როგორიცაა ი. კაზაკოვი (რსფსრ), ევროპის ჩემპიონი რ. ბრენერი (მოსკოვი) და სხვანი, ცუდად შეასრულეს ყველაზე უფრო გავრცელებული ხტომა — „მერცხალი" და მხოლოდ საშუალო შეფასებებით დაკმაყოფილდნენ. პირველი ხტომების შემდეგ ვაჟთა შორის დაწინაურდა ლვოველი ვ. მიშინი.

ქალთა შორის კოშკებიდან ხტომებში ბრძოლა გაიმართა ფინალში გასვლისათვის. მრავალრიცხოვანი მონაწილეებიდან მხოლოდ 8 სპორტსმენმა შეინარჩუნა პირველობისათვის ბრძოლის უფლება. შემდგომი ორ-ორი ნებისმიერი ხტომების შესრულების შედეგად გაირკვა პირველი ადგილის ბედი.

ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის წოდება მოიპოვა რ. გოროხოვსკაიამ (ლენინგრადი) — 91,13 ქულა. მეორე ადგილზეა ა. კარაცკაიტე (მოსკოვი) 86,70 ქულა, მესამეზე — ე. ილინოვა (მოსკოვი) 77,25 ქულა.

**გ. მაზუროვი,**

**სპორტის დამსახურებული ოსტატი.**

**ლ. ჯულელი.**

✦

**თბილისი. „დინამოს" სტადიონი. 17 ივლისი.**

**„დინამო" (თბილისი) — „დინამო" (კიევი) — 4:3 (1:2).**

**„დინამო" (კიევი): ლემეშკო; ეროხინი, გოლუბევი, პოპოვიჩი; ვოინოვი, სოროკინი; ბიბა (რუსლანოვი), გოლოდეცი, კანევსკი, კომანი, ფომინი.**

**„დინამო" (თბილისი): კოტრიკაძე; ჩოხელი, სიჭინავა, ხოჰოლავა (რამიშვილი); ხუნდაძე, ლოლობერიძე; ხასაია, ბარქაია, მელაშვილი, იამანიძე, მესხი.**

**მსაჯი ი. პოდგორნი (მოსკოვი).**

✦

# ორი ნახევარმცველის მატჩი

ეს მეტად საპასუხისმგებლო და პრინციპული მატჩი თბილისისა და კიევის „დინამოს" თანაკლუბელთა შორის დაიწყო ისე მშვიდად და წყნარად, თითქოს ეს იყო ორი კლუბის უბრალო, ამხანაგური შეხვედრა. მოთამაშეები მეტისმეტი სიფრთხილით შეუდგნენ დაზვერვას და მოწინააღმდეგის დაცვაში სისუსტეების ძებნას და უცებ ეს მშვიდობიანი „ძიება" დამთავრდა თავბრუდამხვევი შეტევით სტუმართა საჯარიმო მოედანზე. კიეველთა კარი ბეწვზე ეკიდა და მცველებმა შეძლეს ამ გაავთრებული იერიშის მოგერიება.

მაგრამ ეს „ბეწვი" ორი წუთის შემდეგ მაინც გაწყდა. ბურთის მოძრაობა სტუმრების კარისაკენ დაიწყო ძლიერ შორიდან: ხოჰოლავამ ფომინთან ბრძოლაში ძნელი მდგომარეობიდან მიაწოდა წინ. ბურთი მიიღო მელაშვილმა და მარცხნივ გადასცა მესხს. ეს უკანასკნელი შევიდა საჯარიმო მოედანში და სწრაფად მიაწოდა ცენტრში, სადაც მელაშვილმა ზუსტი დარტყმით დაამთავრა ეს რთული და ლამაზი კომბინაცია — 1:0.

გოლი სულ მალე იქნა გაქვითული. თბილისელთა კარში დაინიშნა საჯარიმო დარტყმა დაახლოებით 25 მეტრის მანძილიდან. იგი თითქოს ფომინსა და გოლოდეცს შორის უნდა გათამაშებულიყო, მაგრამ მათ შეცდომაში შეიყვანეს მოწინააღმდეგე მცველები, დამალეს ბურთსა და კარს შორის აღმართული კედელი და ვოინოვმა მათემატიკური სიზუსტით გაგზავნა ბურთი კარის მარცხენა დაბალ კუთხეში — 1:1.

მატჩის მშვიდობიანი დასაწყისიდან ნასახიც კი არ დარჩა. ორივე გუნდი სრული ძალით ჩაება თამაშში და ბრძოლა სულ უფრო და უფრო მწვავე ფორმას ღებულობდა. კიეველებმა ხშირი, ზუსტი გადაცემების წყალობით შეძლეს ინიციატივის ხელში აღება. მათი თავდამსხმელები ბევრს მოძრაობდნენ მინდვრის მთელ სიგანეზე და ყოველგვარ განლაგებაში ცდილობდნენ ღია პოზიციაში დაეტოვებინათ თავიანთი ყველაზე შედეგიანი და სახიფათო ფორვარდი — კომანი.

თბილისელთა თამაშში დიდი ხნის განმავლობაში იგრძნობოდა ერთფეროვნება. ბურთი სისტემატურად იგზავნებოდა მარჯვენა ფრთაზე და მესხი იძულებული იყო შორს დაეწია მინდვრის სიღრმეში ბურთის მისაღებად. მაგალითად, მელაშვილს ჰქონდა ორი შემთხვევა, როცა მის მახლობლად ერთადერთი თავისუფალი პარტნიორი იყო დარჩენილი — მესხი და მელაშვილმა გადაცემას რატომღაც ორჯერვე ამჯობინა თვითონვე ეტარებინა ბურთი მის საბოლოო დაკარგვამდე.

განვლილ მატჩს თამამად შეიძლება ეწოდოს ორი ნახევარმცველის მატჩი. სსრ კავშირის ნაკრების წევრი ი. ვოინოვი და თბილისის „დინამოს" კაპიტანი ა. ლოლობერიძე შესანიშნავად ასრულებდნენ თავიანთ ფუნქციებს, დაუღალავად მუშაობდნენ ვრცელ ტერიტორიაზე. ორივე ეს უმაღლესი კლასის ფეხბურთელი თავიანთი გუნდების სულსა და გულს წარმოადგენდა.

ტაიმის დასასრულს კიეველებმა მოახერხეს კომანის გაყვანა ხელსაყრელ მდგომარეობაში და მიუხედავად იმისა, რომ თავდამსხმელი კარიდან დიდი დაშორებით იმყოფებოდა, მან მაინც არ დააყოვნა და დაარტყა დაბალ კუთხეში. კოტრიკაძე ცალი ხელით მიწვდა ბურთს, მაგრამ ვერ შეძლო მისი შეჩერება — 2:1.

ახალი დაწყებული იყო მეორე ტაიმი, როცა იამანიძემ ვოინოვს თავით აართვა ბურთი და მეკარესთან პირისპირ გავიდა. ვოინოვს კარის სახსნელად სხვა გზა არა ჰქონდა და მან ხელით დაიჭირა იამანიძე, რისთვისაც გუნდი დასჯილ იქნა 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით. ლოლობერიძემ ზუსტად გაიტანა ბურთი მარჯვენა კუთხეში — 2:2.

მე-19 წუთზე მსაჯმა კვლავ დანიშნა პენალტი, მაგრამ როგორ განსხვავდებოდა ეს მეორე პენალტი პირველისაგან! მეტი [illegible] რა ვთქვათ, ი. პოდგორნის გადაწყვეტილება ამ შემთხვევაში [illegible] იყო. თბილისელთა კართან შექმნილ ერთ-ერთ [illegible] კომანი აშკარად „თამაშგარე" მდგომარეობაში დარჩა, რის შესახებ პოდგორნიმ მაშინვე მიიღო სიგნალი გვერდითი მსაჯისაგან. ამ სრულიად ნათელ სიტუაციაში პოდგორნის საიდანღაც „დაესიზმრა" პენალტი და სრულიად უმართებლოდ მიუსაჯა თბილისელებს სასჯელის უმაღლესი ზომა. გოლდეცმა არ დააყოვნა გამოეყენებინა ეს მოულოდნელი საჩუქარი — 3:2.

ეს „შეცდომა" პოდგორნისათვის არც პირველი იყო და არც უკანასკნელი. იგი თამაშის განმავლობაში ხშირად „ცდებოდა" და ყოველთვის მასპინძელთა საწინააღმდეგოდ. რა თქმა უნდა, ასეთი არაობიექტურობა და მიკერძოება არ შეშვენის ისეთი მაღალი კვალიფიკაციის მსაჯს, როგორიც ი. პოდგორნია.

ამ უაღრესად დაძაბულ და ძნელ სიტუაციაში თბილისელებმა შეძლეს გოლის გატანა, რომელმაც გარდატეხა შეიტანა თამაშში. 29-ე წუთზე კიეველთა კარისკენ დაინიშნა საჯარიმო დარტყმა. ლოლობერიძე კარგა ხანს ათვალიერებდა თავისუფალ მოთამაშეს კარის სიახლოვეს და ბურთი მიაწოდა მხოლოდ მაშინ, როცა იქ შორი მანძილიდან წამოსული ჩოხელი შეიჭრა. ჩოხელმა ძლიერი თავური დარტყმით ბურთი ბადეში გაგზავნა. ეს იყო გოლი, რომელიც დიდხანს რჩება ფეხბურთის მოყვარულთა მეხსიერებაში — 3:3.

2 წუთის შემდეგ ხასაია პირით ხაზთან გაიჭრა და მარცხნივ გადასცა ბურთი, რომელსაც კარგად შეურჩია ადგილი მესხმა — 4:3.

კიეველებმა ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ გაეთანაბრებინათ ანგარიში, მაგრამ თბილისელები განზრახ არ აძლევდნენ მათ მაღალ ტემპში თამაშის საშუალებას და უნარიანად აჩერებდნენ ბურთს კარიდან დიდი დაცილებით. მათ შეძლეს ამ ანგარიშის შენარჩუნება თავიანთ სასარგებლოდ.

**რ. ქორიძე**

## „ა" კლასის გუნდების მატჩების კალენდარი

**პირველი წრე**

**20 ივლისი.** ცსკ მო-„ტორპედო" (მოსკოვი). **21.** „სპარტაკი"-„ლოკომოტივი". **25.** „ტორპედო"-„დინამო" (მოსკოვი).

• • •

**მეორე წრე**

**25 ივლისი.** „ადმირალტეეცი"-ცსკ მო. **26.** „სპარტაკი"-„დინამო" (თბილისი). **28.** „შახტიორი"-„ლოკომოტივი". **30.** „დინამო" (მოსკოვი)-„დინამო" (თბილისი). **31.** ცსკ მო-„კრილია სოვეტოვი". **1. აგვისტო.** „სპარტაკი" - „ტორპედო", „მოლდოვა"-„დინამო" (კიევი), „ზენიტი" - „ადმირალტეეცი", **3.** „დინამო" (მოსკოვი)-„კრილია სოვეტოვი". **4.** ცსკ მო-„დინამო" (თბილისი). **5.** „ტორპედო"-„ზენიტი". **6.** „სპარტაკი"-„შახტიორი". **7.** „დინამო" (მოსკოვი)-„დინამო" (კიევი). **8.** „ადმირალტეეცი"-„ლოკომოტივი". **9.** „ტორპედო"-„დინამო" (თბილისი). **10.** ცსკ მო-„ზენიტი", „შახტიორი"-„მოლდოვა". **11.** „სპარტაკი"-„კრილია სოვეტოვი". **12.** „ადმირალტეეცი"-„დინამო" (მოსკოვი). **14.** „ტორპედო"-„მოლდოვა". **15.** „სპარტაკი"-„დინამო" (კიევი), „კრილია სოვეტოვი"-„დინამო" (თბილისი). **16.** „ზენიტი"-„დინამო" (მოსკოვი), ცსკ მო-„ლოკომოტივი". **18.** „ტორპედო"-„შახტიორი". **20.** ცსკ მო-„დინამო" (კიევი). **21.** „სპარტაკი"-„მოლდოვა", „ზენიტი"-„ლოკომოტივი". **22.** „დინამო" (მოსკოვი)-„ტორპედო". **25.** „შახტიორი"-„ადმირალტეეცი". **30.** „კრილია სოვეტოვი"-„ადმირალტეეცი". **31.** „დინამო" (თბილისი)-„მოლდოვა".

## ფეხბურთი

### გათამაშების ცხრილი

**მდგომარეობა 20 ივლისისათვის**

**ძირითადი შემადგენლობანი**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი" | 10 | 6 | 4 | 0 | 25:10 | 16 |
| „ზენიტი" | 11 | 5 | 4 | 2 | 21:13 | 14 |
| ცსკ მო | 11 | 5 | 3 | 3 | 19:12 | 13 |
| „შახტიორი" | 12 | 5 | 3 | 4 | 12:14 | 13 |
| „ლოკომოტივი" | 10 | 4 | 4 | 2 | 18:12 | 12 |
| „დინამო" თბ. | 11 | 5 | 2 | 4 | 20:28 | 12 |
| „ტორპედო" | 9 | 3 | 5 | 1 | 22:15 | 11 |
| „დინამო" კ. | 11 | 2 | 6 | 3 | 19:17 | 10 |
| „დინამო" მ. | 10 | 3 | 2 | 5 | 13:13 | 8 |
| „კრ. სოვეტოვი" | 11 | 1 | 6 | 4 | 7:14 | 8 |
| „მოლდოვა" | 12 | 1 | 5 | 6 | 13:27 | 7 |
| „ადმირალტეეცი" | 12 | 3 | 0 | 9 | 17:31 | 6 |

## წერილების კვალდაკვალ

**ჩვენი გაზეთის მკითხველები სოფ. ხუცუბნიდან (ქობულეთის რაიონი) გვწერდნენ, რომ მათს სოფელში იყო ფეხბურთის მოედანი, არსებობდა გუნდი, მაგრამ კოლმეურნეობის გამგეობამ მოედანი გადახნა. ხუცუბნელი ახალგაზრდობა რამდენიმე წელია მოელის ახალ მოედანს, მაგრამ ამაოდ.**

**როგორც საქართველოს ალკკ ქობულეთის რაიკომიდან გვატყობინებენ, წერილში აღნიშნული ფაქტები დადასტურდა. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა და მოედანი მალე გადაეცემა ახალგაზრდობას საექსპლოატაციოდ.**

## საქართველოს პირველობა

შედგა მორიგი მატჩები საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში.

**I ზონა**

თბილისში თამაშობდნენ ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოსა და ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდები. უინტერესო და უშინაარსო თამაში დამთავრდა უშედეგოდ — 0:0.

თელავის „სპარტაკმა" თავის მინდორზე ძლიერად ჩაატარა მატჩი სტალინირის თანაკლუბელთა წინააღმდეგ და გაიმარჯვა ანგარიშით 5:2.

კვლავ წარუმატებლად თამაშობს გორის გუნდი. მორიგი მატჩი გორელებს ჰქონდათ ქუთაისის „დინამოსთან", რომელიც წაგებულ იქნა ანგარიშით 0:3.

ქობულეთის „კოლმეურნემ" თავის მინდორზე მიიღო რუსთავის „მეტალურგი". დაძაბულ ბრძოლაში გამარჯვება მოიპოვეს სტუმრებმა — 3:2.

**II ზონა**

ფოთში თამაშობდნენ ადგილობრივი გუნდი და ზუგდიდის „ოდიში". მიუხედავად მასპინძელთა ტერიტორიული უპირატესობისა, მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.

თბილისის 26 კომ. სახ. რაიონის გუნდი ბათუმში შეხვდა ადგილობრივ „დინამოს". ანგარიშით 2:0 გაიმარჯვეს დინამოელებმა.

მახარაძეში თამაშობდნენ ადგილობრივი და ლანჩხუთის „კოლმეურნის" თანაკლუბელები. დაძაბულ ბრძოლაში გაიმარჯვეს ლანჩხუთელებმა — 3:2.

მორიგი გამარჯვება მოიპოვა სამტრედიის „ლოკომოტივმა". რყინიგზელებმა ამჯერად დაამარცხეს ჭიათურის „მაღაროელი" — 2:0.

მატჩი რუსთავში ადგილობრივ „სხივსა" და ქუთაისის „ტორპედოს" შორის დამთავრდა ფრედ — 1:1.

**მეორე ჯგუფი. I ზონა.** სახ. სამ. ტექნიკუმი (დიდი ჯიხაიში)-„იმერეთი" (ზესტაფონი) — 2:1, წულუკიძე-ლენინის სახ. შახტი (ტყიბული) — 1:0, „სალხინო" (ვეგეჭკორი)-„ცისკარი" (ბათუმი) — 1:1.

**II ზონა.** „ბახმარო" (ჩოხატაური)-„კოლმეურნე" (ოჩამჩირე) — 2:0, „სპარტაკი" (ცხაკაია)-გუდაუთა — 2:0, „განთიადი" (ტყვარჩელი)-სამშენებლო სამმართველო № 2 (ვაგრა) — 2:0.

**III ზონა.** „ლოკომოტივი" (ხაშური)-ორთქლ. ვაგონშემკეთებელი ქარხანა (თბილისი) — 1:1, „კოლმეურნე" (ბოლნისი)-„ტორპედო" (თბილისი) — 4:2, ადგ. მრეწვ. სამმართ. (თბილისი)-„კოლმეურნე" (გურჯაანი) — 3:1.

**IV ზონა.** „ლოკომოტივი" (გურჯაანი)-სკვო I (თბილისი) — 1:4, „თრიალეთი" (წალკა)-შახტი № 1 (ახალციხე) — 2:2, „კოლმეურნე" (ქარელი)-„წინანდალი" (თელავი) — 2:3.

**მესამე ჯგუფი. III ზონა.** ჩაქვის საბ. მეურნეობა-„კოლხიდა" (ფოთი) — 4:0, „კოლმეურნე" (ხობი)-„ცისკარი" (აბაშა) — 4:2, ლაითური-„კოლმეურნე" (ჩხოროწყუ) — 8:0.

**IV ზონა.** „სპარტაკი" (მახარაძე)-„შრომა" (დიდი ჯიხაიში) — 2:1, „მამისონი" (ონი)-„გაზაფხული" (ზესტაფონი) — 1:0, „კოლმეურნე" (ზუგდიდი)-„ამჰესი" (გეგეჭკორი) — 2:5, „ხვანჭკარა" (ამბროლაური)-„ციცქა" (თერჯოლა) — 4:2, „მშენებელი" (ჭიათურა)-„ხვამლი" (ცაგერი) — 2:0, „კოლმეურნე" (მაიაკოვსკი)-„სპარტაკი" (ვანი) — 4:0.

# სპორტსკოლის დარბაზში

თელავის სპორტსკოლის დარბაზში სამ დღეს გრძელდებოდა საქართველოს პირად-გუნდური შეჯიბრება თავისუფალ ჭიდაობაში მოზარდთა შორის, სადაც მონაწილეობდა 9 გუნდის 79 სპორტსმენი. გუნდურ ჩათვლაში მონაწილენი დაყოფილი იყვნენ ორ ჯგუფად. პირველ ჯგუფში იბრძოდნენ თბილისის, აჭარის, ქუთაისის, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ნაკრები გუნდები, ხოლო მეორეში—საგარეჯოს, ონის, გორისა და ხაშურის კოლექტივები.

ალსანიშნავია, რომ სპორტსმენები კარგად იყვნენ მომზადებული შეჯიბრებისათვის. 134 შეხვედრიდან სუფთა გამარჯვებით დამთავრდა 88.

პირად პირველობაში წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: უმჩატეს წონაში—ნ. ხოხაშვილი; მჩატე წონაში—ნ. გაჩეჩილაძე (ორივე თბილისი); ქვემსუბუქ წონაში—ნ. ჩინჩალაძე (ქუთაისი), მსუბუქ წონაში—სპორტის ოსტატი ვ. რუბაშვილი, ქვესაშუალო წონაში— ა. მაისურაძე (ორივე თბილისი), საშუალო წონაში— პ. ცხოვრებოვი (სამხრეთ ოსეთი), ქვემძიმე წონაში —ტ. მელაძე (თბილისი) და მძიმე წონაში— ზ. მორჩილაძე (ბათუმი).

პირველ ჯგუფში გუნდური გამარჯვება მოიპოვა თბილისის ნაკრებმა, მეორე ჯგუფში საუკეთესო იყო ონის კოლექტივი. უძლიერესთაგან დაკომპლექტდა რესპუბლიკის ნაკრები გუნდი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ჭაბუკთა საკავშირო პირად-გუნდურ შეჯიბრებაში.

ი. ჩხარტიშვილი,
სპორტის ოსტატი

## ორ წუთში 153 ნიშანი

სოხუმში ჩატარდა საქართველოს კომკავშირელთა და ახალგაზრდების პირად-გუნდური პირველობა „ნორჩი მეზღვაურის" ნიშნის კომპლექსზე, რომელიც მიეძღვნა კომკავშირის მე-40 წლისთავს. მასში მონაწილეობდნენ აფხაზეთის, აჭარის, ქუთაისის, მცხეთის ნაკრები გუნდები, აგრეთვე სოხუმისა და ბათუმის დოსააფის საზღვაო კლუბების სპორტსმენები. შეჯიბრების პროგრამაში იყო ნიჩბოსნობა 500 მეტრზე, ტანსაცმლით ცურვა 25 მეტრზე, სპორტული ცურვა 100 მეტრზე, ესტაფეტა 4×50 მ, საზღვაო კვანძის შეკვრა და სხვ.

ასპარეზობა გაიხსნა საზღვაო კვანძის შეკვრით. საუკეთესო შედეგი აჩვენა აფხაზეთის გუნდის წარმომადგენელმა ბ. იაიცკიმ, რომელმაც 5 რთული კვანძი შეკრა 16,5 წამში. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს სოხუმის საზღვაო კლუბის სპორტსმენებმა.

დროშებით სიგნალიზაციაში ყველაზე მეტი ქულა დააგროვა წყვილმა — ვ. კიველიდი-ა. გავრილოვმა (სოხუმის საზღვაო კლუბი), რომლებმაც 2 წუთში მიიღეს და გადასცეს 153 ნიშანი. მათი გუნდი გამარჯვებული გამოვიდა გუნდურ ჩათვლაშიც.

მეორე წარმატება ხვდა წილად ბ. იაიცკის ალექსანდროვის ბაგირის ტყორცნაში, რითაც ბევრად დაეხმარა თავის გუნდს პირველი ადგილის მოპოვებაში.

ცურვის ყველა სახეობაში პირველობისათვის ბრძოლა ძირითადად მიმდინარეობდა აფხაზეთისა და აჭარის გუნდებს შორის. აჭარელმა სპორტსმენებმა მოიგეს ესტაფეტა და ტანსაცმლით ცურვა, ხოლო აფხაზეთის გუნდმა — ნიჩბოსნობა და 100 მეტრზე ცურვა.

ოთხდღიანი ბრძოლის შედეგად გაირკვა საერთო პირველი ადგილის მფლობელი — აფხაზეთის ნაკრები გუნდი. მეორე ადგილზე გამოვიდნენ სოხუმის ნორჩი დოსააფელები, მესამეზე — აჭარის სპორტსმენები.

ვ. სემიონოვი

როგორც ცნობილია, მოსკოვში გაიმართება ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის მძლეოსანთა ნაკრები გუნდების მატჩი, რომლის პირობები ასეთია: თვითეული გუნდი დაკომპლექტებული უნდა იყოს 70 სპორტსმენით. პირველი ადგილი იძლევა 5 ქულას, მეორე 3 ქულას, მესამე 2 ქულას და მეოთხე 1 ქულას. შეხვედრის პროგრამაშია: ვ ა ჟ ე ბ ი (22 სახეობა) — რბენა 100, 200, 400, 800, 1500, 5000, 10000 მეტრზე. ესტაფეტები 4×100 მ და 4×400 მ, თარჯრბენი 110 და 400 მ, რბენა დაბრკოლებებით 3.000 მ, სპორტული სიარული 20 კმ. სიგრძეზე, სიმაღლესა და ჭოკით ხტომა და სამხტომი. ბადროს, შუბისა და უროს ტყორცნა, ბირთვის კვრა და ათჭიდი.

ქალები პირველობას ერთმანეთს შეეცილებიან შემდეგ სახეობებში: რბენა — 100, 200, 800 მ. ესტაფეტა 4×100 მ, თარჯრბენი 80 მ, ხტომა სიგრძესა და სიმაღლეზე, ბირთვის კვრა, ბადროსა და შუბის ტყორცნა.

# ორი ქვეყნის მატჩი

საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების მძლეოსანთა მატჩი ამჟამად მსოფლიოს სპორტული საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრშია.

ინტერესმოკლებული არ იქნება თუ გადავხედავთ გუნდების მოსალოდნელ შემადგენლობებს და სპორტსმენთა შესაძლებლობებს გასული და მიმდინარე სპორტული სეზონის შედეგების მიხედვით.

სპრინტერულ-მანძილებზე ამერიკელთა უპირატესობა აშკარაა. როგორც ცნობილია, 100 მეტრზე რბენის მსოფლიო რეკორდი (10,1) ეკუთვნის სამ ამერიკელს — ვ. უილიამსს, ა. მერჩისონსა და ლ. კინგს, ხოლო 200 მეტრზე რბენის რეკორდი — დ. ზიმს. აღნიშნულ დისტანციებზე გამოსვლა შეუძლიათ აგრეთვე ოლიმპიურ ჩემპიონს ბ. მოროუს და ახალგაზრდებს რ. ნორტონს, ბ. ბუდჰაუზს, ო. მეზლეის, ს. სოუტერნს. მათ ყველა შანსი აქვთ გაირბინონ 100 მეტრი 10,2 და 200 მეტრი 21,0 წამში.

400 მეტრზე რბენაში მსოფლიო რეკორდი ამერიკელ ლ. ჯონსს ეკუთვნის — 45,2. წელს ამ დისტანციაზე საუკეთესო შედეგები ჰქონდათ გ. დევისს და ე. საუტერნს — 45,8. 800-მეტრიან დისტანციაზე ამერიკელებს კონკურენციას უწევენ ევროპელი სპორტსმენები რ. მოენსი, ა. მოისენი, დ. ჯონსონი. როგორც ცნობილია, მელბურნის ოლიმპიურ თამაშებში ამ დისტანციაზე პირველი იყო ამერიკელი ტ. კურტნეი. წელს არც კურტნეი და არც ა. სოუელი არ გამოსულან შეჯიბრებებში, ამიტომ დ. ბოუდენს, ტ. მედლეის და ე. კანლიფს წარმატების დიდი შანსები აქვთ.

შედარებით სუსტად გამოიყურებიან ამერიკელები 1500 მეტრზე რბენაში. ორ წელზე მეტია მათ არ უჩვენებიათ 3.46,0 წუთზე უკეთესი შედეგი. შეიძლება ითქვას, რომ ამერიკელებს გამარჯვების არავითარი შანსი არა აქვთ სტაიერულ დისტანციებზე და 3.000 მეტრზე დაბრკოლებებით რბენაში. სამაგიეროდ, სტუმრები უდავოდ უძლიერესნი არიან თარჯრბენში 110 და 400 მეტრზე. ამერიკელ სპორტსმენთა დიდი ჯგუფი 110 მეტრს 14 წამზე უკეთეს დროში გარბის მაშინ, როცა ევროპაში ასეთ შედეგს მხოლოდ გერმანელი მ. ლაუერი და საბჭოთა მორბენალი ი. მიხაილოვი აჩვენებენ. მსოფლიო რეკორდი ეკუთვნის გ. დევისს, ხოლო წლევანდელ სეზონში საუკეთესო შედეგები აქვთ ე. ჟილბერტს (13, 8) და ჩ. კობს (13,9). 400 მეტრზე თარჯრბენში წელს უძლიერესნი არიან დ. ოკონორი და მსოფლიოს რეკორდსმენი გ. დევისი.

მოსკოვში მოსალოდნელია სიგრძეზე ხტომაში ოლიმპიური ჩემპიონის — გ. ბელის ჩამოსვლა. ნაკრებ გუნდში მოხვედრის შანსები აქვთ უ. ჯეკსონს (7,85 მ) და მ. ჰელმანსატს (7,24 მ) ჭოკით ხტომაში ამერიკელთა მთავარი ფავორიტია რ. გუტოვსკი მის გარდა მაღალი შედეგები აქვთ რ. მორისს და დ. ბრეგს.

1958 წელს სიმაღლეზე ხტომაში ყველაზე უკეთესი შედეგი აჩვენა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ჩ. დიუმასმა — 2,12 მ.

პ. ობრაიენის, ა. ორტერის, გ. კონოლის, უ. ნიდერის, რ. ბაბკას სახით შეერთებულ შტატებს ჰყავს მტყორცნელთა და ბირთვისმკვრელთა ძლიერი შემადგენლობა. მათ ჯერჯერობით ვერც ერთი ქვეყნის მძლეოსნები ვერ უწევენ წინააღმდეგობას (გამონაკლის შეადგენენ უროს მტყორცნელები. აქ საბჭოთა სპორტსმენებს აქვთ გამარჯვების შანსები).

ათჭიდში მოსკოველები იხილავენ შესანიშნავ ზანგ მძლეოსანს რ. ჯონსონს, რომელსაც უკანასკნელ ხანამდე ეკუთვნოდა მსოფლიო რეკორდი. ეჭვს გარეშეა, რომ ჯონსონის შეხვედრა ვ. კუზნეცოვთან (რომელმაც მას მსოფლიო რეკორდი წაართვა) საინტერესო სანახავი იქნება.

საბჭოთა კავშირის ვაჟთა გუნდი ამჟამად დიდი ძალაა. თუ 100 და 200 მეტრზე ჩვენ დამარცხება მოგველის, 400 მეტრზე რბენაში ა. იგნატიევს შეუძლია შეებრძოლოს რომელ ამერიკელსაც გნებავთ. თუ 800 მეტრზე რბენაში კურტნეის, სოუელის, ბოუდენის უპირატესობა აშკარა იქნება, 5000 და 10000-მეტრიან დისტანციებზე ამერიკელები ოდნავ წინააღმდეგობასაც ვერ გაუწევენ ჩვენს სტაიერებს.

ქალთა შეჯიბრება? აქ ჩვენი გუნდი გაცილებით უკეთ გამოიყურება. საბჭოთა სპორტსმენების უპირატესობა აშკარა იქნება პროგრამის ბევრ სახეობაში, პირველ რიგში კი ტყორცნებში.

შეჯიბრებაზე მოპოვებულ შედეგებთან ერთად ეს ამხანაგური შეხვედრა კიდევ უფრო განამტკიცებს საბჭოთა და ამერიკელ სპორტსმენთა მეგობრულ კავშირს.

ნ. ბუბუშვილი

• • •

სურათზე: ი. ტერ-ოვანესიანი ხტომის დროს.



## ყოველი მხრიდან

⊙ ბუქარესტი. რუმინეთში უხუცეს ფეხბურთელად ითვლება ა. ლუდვიგი, რომელსაც ამას წინათ 45 წელი შეუსრულდა. იგი ამჟამად თამაშობს ჩრდილოეთ ტურინის რკინიგზელთა გუნდში.

⊙ ლონდონი. ინგლისის გუნდმა პ. რედფორდის, რ. სენდსტრემის, ჯ. საგელის და დ. იანგის შემადგენლობით დაამყარა ახალი ეროვნული რეკორდი ესტაფეტაში 4×110 იარდზე — 41.2.

⊙ ტოიალა. ფინეთის ამ პატარა ქალაქში გამართულ მძლეოსანთა შეჯიბრებაზე ფინეთის რეკორდსმენი ჭოკით ხტომაში ე. ლანდსტერმა დაძლია 4,55 მ და გაიმეორა ევროპის ოფიციალური რეკორდი.

⊙ ბუდაპეშტი. მძლეოსანთა შეჯიბრებაზე უნგრეთის რეკორდების ცხრილში ი. სეჩენმა და ი. რეტეზარმა ორი შესწორება შეიტანეს. პირველმა ბადრო ტყორცნა 56,02 მეტრზე, ხოლო მეორემ — 110 მეტრი თარჯრბენი გაირბინა 14,4 წამში.

⊙ ბერლინი. დასავლეთ გერმანიის მოკრივეთა ჩემპიონატში მხოლოდ ორმა სპორტსმენმა — ჰერპერმა (მჩატე წონა) და კ. იოჰანპეტერმა (მეორე ქვესაშუალო წონა) შეძლეს ჩემპიონობის შენარჩუნება. სხვა წონებში გაიმარჯვეს ჰომბერგმა, ბიტნერმა, გოშკემ, ხ. იოჰანპეტერმა, კინასტმა, შენბერგმა, მილდენბერგმა და პლიშკამ.

⊙ ლონდონი. როგორც რეიტერის სააგენტო იტყობინება, მომავალ სეზონში ინგლისელებს განზრახული აქვთ მათი ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი საერთაშორისო მატჩში შეხვდეს უელსის (26 ნოემბერს ბირმინჰამში), შოტლანდიის (მომავალი წლის 18 აპრილს ლონდონში) და იტალიის (6 მაისს ლონდონში) ნაკრებ გუნდებს,

## სპორტული ქრონიკა

ოჩამჩირე[illegible] დამთავრდა [illegible] „კოლმეურნის" „სარიონი" გათამაშება ფეხბურთში, სადაც მონაწილეობა მიიღო 7-მა გუნდმა.

თასი მოიპოვეს სოფ. თხინის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ფეხბურთელებმა, რომლებმაც ფინალში დაამარცხეს სოფ. არაგიჩის შაუმიანის სახელობის კოლმეურნეობის გუნდი — 4:2.

ვ. დოხნაძე

• • •

წითელწყაროში ამას წინათ დამთავრდა რაიონის პირველობა ქართულ ჭიდაობაში. ჩემპიონის საპატიო სახელი მოიპოვეს შ. მერკვილაძემ, ჯ. გოგაშვილმა, გ. ქავთარაძემ, ქ. ნათათრიშვილმა, მ. ზექიშვილმა და ტ. ნარიმანიძემ.

გ. ტოკლიკიშვილი

• • •

ბათუმი. საინტერესოდ ჩატარდა აჭარის თასის გათამაშება ფეხბურთში, სადაც მონაწილეობდნენ ბათუმის, ქობულეთის, ჩაქვის, ხულოსა და ქედის გუნდები. გათამაშების ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს ბათუმის „დინამოსა" და აჭარის ავტოსატრანსპორტო კანტორის გუნდებმა. მატჩი დამთავრდა დინამოელთა გამარჯვებით — 3:0.

• • •

ბათუმში დამთავრდა სპორტსაზოგადოება „განთიადის" აჭარის საოლქო საბჭოს 1958 წლის პირველობა კალათბურთში (პირველი ტური).

პირველ ჯგუფში გაიმარჯვეს მთავარნავთობგასაღების სასაქონლო-სატრანსპორტო სამმართველოს ვაჟთა და ქალთა სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივებმა.

მეორე ჯგუფში გაიმარჯვეს ხორცის კომბინატის კალათბურთელებმა.

შ. მამინაშვილი

## დღეს თბილისში

საკავშირო პირველობა წყალში ხტომაში. ფიზკულტურის პარკი. შეჯიბრების დასაწყისი 8-17 ს.

• • •

საკავშირო პირველობა აკრობატიკაში მოზარდთა შორის. ვ. ი. ლენინის სახ. სპორტდარბაზი. დასაწყისი 11-18 ს.

• • •

პროფკავშირების მეორე რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები: ფიზკულტურის ინსტიტუტის, „განთიადის", ტტს-ისა და „ლოკომოტივის" სპორტდარბაზებში, კიროვის სახელობის პარკში, ვაკის სტენდსა და „დინამოს" სტადიონზე. შეჯიბრებების დასაწყისი 10-18 ს.

რედაქტორი ი. უბულავა.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12, დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო", ტელეფონები: რედაქტორის — 3-89-62, პ-მგ. მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის, ქ. № 14. უე 03735